ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Კ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

KOMUNISTI ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲘᲠᲐ, 24 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1944 Წ. № 194 (7147). ᲤᲐᲡᲘ 20ᲙᲐᲞ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲧᲠᲝᲗ ᲬᲘᲗᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲛ. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲒᲝᲕᲝᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲣᲨᲘᲜ, 23 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲨᲘ — ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲞᲘᲐᲠᲜᲣ (ᲞᲔᲠᲜᲝᲕᲘ).

ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲤᲐᲨᲘᲡᲢ ᲓᲐᲛᲠᲧᲠᲝᲑᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲡ!

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲒᲝᲕᲝᲠᲝᲕᲡ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲢᲔᲕᲐᲡ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲓᲦᲔᲡ, 23 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲞᲘᲐᲠᲜᲣ (ᲞᲔᲠᲜᲝᲕᲘ) — ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲨᲘ.

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲞᲘᲐᲠᲜᲣᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲜᲔᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲔᲒᲘᲜᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲔᲒᲘᲜᲘᲜᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲑᲝᲠᲨᲩᲘᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ; ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲚᲘᲐᲨᲩᲔᲜᲙᲝᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲑᲝᲠᲨᲩᲘᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ; ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲠᲝᲓᲘᲜᲪᲝᲕᲘᲡ, ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲙᲐᲖᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ; ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘᲡ ᲕᲐᲡᲘᲚᲘ ᲙᲝᲠᲜᲔᲩᲝᲕᲘᲡ, ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘᲡ, ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲢᲕᲔᲔᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲮᲐᲢᲛᲘᲜᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘᲡ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲓᲐ; ᲡᲐᲘᲜᲤᲐᲜᲢᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘᲡ ᲒᲘᲩᲘᲕᲘᲡᲙᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲪᲕᲐᲜᲒᲔᲠᲘᲡ, ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲝᲜᲐᲨᲩᲔᲜᲙᲝᲡ, ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲨᲔᲡᲢᲐᲙᲝᲕᲘᲡ, ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲫᲒᲣᲜᲘᲡ, ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜ ᲐᲑᲓᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲜ�გᲠᲔᲑᲘᲗ; ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲙᲝᲕᲐᲚᲘᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲑᲐᲑᲘᲚᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲒᲝᲚᲪᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲜᲗᲐᲡ; ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲙᲝᲕᲐᲚᲘᲝᲕᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲑᲐᲑᲘᲚᲘᲜᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲒᲝᲚᲪᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲜᲗᲐᲡ; ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜ ᲐᲑᲓᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲜᲗᲐᲡ.

ᲛᲝᲛᲐᲪᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲔ ᲞᲘᲐᲠᲜᲣᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ, 23 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲞᲘᲐᲠᲜᲣᲡ (ᲞᲔᲠᲜᲝᲕᲘ) ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲛᲝᲛᲐᲪᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲜᲐᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲛᲮᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲠᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲜᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲐ.

ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲛᲑᲭᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ!

ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲔᲡ ᲠᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲛᲠᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘ (ᲠᲔᲕᲔᲚᲘᲜᲘᲓᲐᲜ), ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲕ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲒᲝᲕᲝᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ.

ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲟᲘᲐ ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲖᲔ. ᲘᲒᲘ ᲰᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲒᲣᲨᲐ�გᲝᲡ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲕᲘᲬᲠᲘᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲠᲪᲔᲚᲔᲑᲨᲘ. ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, ᲪᲮᲚᲐᲓᲰᲧᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲣᲞᲐᲠᲘᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ. ᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲠᲔᲕᲠᲝᲑᲘᲗ. ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲝᲑᲘᲗ. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲒᲝᲕᲝᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ.

ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲟᲘᲐ ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲖᲔ. ᲘᲒᲘ ᲰᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲒᲣᲨᲐ�გᲝᲡ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲘᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲟᲘᲐᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲛᲝᲛᲐᲪᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲜᲐᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲛᲮᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲞᲘᲐᲠᲜᲣᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲙᲝᲕᲐᲚᲘᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲪᲕᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲘᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

№ 2451 ᲔᲕᲐᲙᲝᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲐᲛᲮ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡ ᲰᲝᲚᲘᲪᲘᲜᲐᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲐᲛᲮ. ᲡᲐᲮᲐᲠᲝᲕᲡ ᲰᲐᲠᲒᲘᲡᲨᲘ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲐᲛᲮ. ᲫᲘᲠᲘᲡᲛᲬᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲒᲐᲜᲝᲡ

ᲑᲐᲓᲐᲔᲪᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ № 2451 ᲔᲕᲐᲙᲝᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ, ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ „ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲐᲡᲐᲒᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ 28.806 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲤᲣᲚᲐᲓ, 87.484 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ 65.065 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲔᲡᲮᲗᲐ ᲝᲑᲚᲘ�გᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ

3770 ᲔᲕᲐᲙᲝᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲦᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜ ᲭᲐᲚᲔᲒᲐᲜᲘᲫᲔᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡ ᲰᲝᲚᲘᲪᲘᲜᲐᲚᲘᲡᲨᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜ ᲨᲔᲓᲝᲠᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲞᲐᲠᲒᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲔᲥᲘᲛ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲡᲐᲚᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ № 2451 ᲔᲕᲐᲙᲝᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ, ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ „ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲐᲡᲐᲒᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ 28.806 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲤᲣᲚᲐᲓ, 87.484 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ 65.065 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲔᲡᲮᲗᲐ ᲝᲑᲚᲘ�გᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲛᲐ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ Ბ-ᲜᲘ ᲙᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ Ბ-ᲜᲘ ᲰᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘ

23 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲛᲐ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ Ბ-ᲜᲘ ᲙᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ Ბ-ᲜᲘ ᲰᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘ.

ᲔᲚᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ Ბ-ᲜᲘ ᲙᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ Ბ-ᲜᲘ ᲰᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲘᲗ, ᲓᲦᲔᲡ, ᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲑᲐᲨᲘ, ᲑᲣᲢᲚᲔᲠᲘᲡ, ᲛᲘᲠᲢᲘᲡ, ᲛᲣᲨᲢᲔᲡᲘᲡ, ᲕᲔᲓᲚᲔᲠᲘᲡ, ᲙᲝᲠᲜᲔᲩᲝᲕᲘᲡ, ᲮᲐᲚᲐᲯᲘᲡ, ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲝᲕᲘᲡ, ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ, ᲙᲝᲠᲜᲔᲩᲝᲕᲘᲡ, ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲘᲡ, ᲛᲣᲨᲢᲔᲡᲘᲡ, ᲕᲔᲓᲚᲔᲠᲘᲡ, ᲙᲝᲠᲜᲔᲩᲝᲕᲘᲡ, ᲙᲝᲠᲜᲔᲩᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲘᲜᲒᲘᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲥᲚᲐᲠᲘ, ᲡᲐᲣᲚᲔᲯ.

ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲢᲔᲕᲐᲡ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲓᲦᲔᲡ, 23 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲞᲘᲐᲠᲜᲣ (ᲞᲔᲠᲜᲝᲕᲘ) — ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲨᲘ.

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲞᲘᲐᲠᲜᲣᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲜᲔᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲞᲝᲚᲔᲒᲘᲜᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲞᲝᲚᲔᲒᲘᲜᲘᲜᲘᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲑᲝᲠᲨᲩᲘᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ; ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲚᲘᲐᲨᲩᲔᲜᲙᲝᲡ, ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲑᲝᲠᲨᲩᲘᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ; ᲡᲐᲘᲜᲤᲐᲜᲢᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ ᲒᲘᲩᲘᲕᲘᲡᲙᲘᲡ, ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲚᲘ ᲪᲕᲐᲜᲒᲔᲠᲘᲡ, ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲝᲜᲐᲨᲩᲔᲜᲙᲝᲡ, ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲨᲔᲡᲢᲐᲙᲝᲕᲘᲡ, ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲫᲒᲣᲜᲘᲡ, ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜ ᲐᲑᲓᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲔᲡᲐ

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ლილი კოქიაშვილი და ფანია ბუდნიკოვა

საგამომჭრელო საამქროდან კონვეიერს გაეშუეკვეტლივ მოაქვს ოთხკუთხედებად დაწყობილ ფერად-ფერად ქსოვილთა ნაჭრები. დაზგის თავში მყოფი მკერავები სწრაფად წამოავლებენ მას ხელს, ზემოთა ნაჭერს აიღებენ, სწრაფად გაატარებენ მანქანაში. ახლა ეს ნაჭერი გვერდით მყოფი მკერავის ხელში მოხვდება, ისიც რაღაცას გაჰკერავს ამ ნაჭერზე და ბოლოს, დაზგიდან სპეციალურად შეგებებულ ურიკაზე თავისთავად გადაცოცდება დასათოვებლად გამზადებული ტანსაცმელი — შარვალი, პალტო, გიმნასტერკა, მაზარა თუ სხვა რამ. ასეთ დაზგებს აქ აგრეგატს უწოდებენ. თვითეული აგრეგატი მიჩენილია ერთი სახელწოდების ტანსაცმლის შესაკერავად. არის მაგალითად, სამაზარე აგრეგატი, საპალტო და ა. შ.

ლილი კოქიაშვილი აგრეგატის ბოლოს ზის. მას აკისრია ყველაზე საპასუხისმგებლო და რთული პროცესის შესრულება ამ აგრეგატზე. იგი სახელოების მიმკერებლად მუშაობს, ხოლო ეს მოითხოვს განსაკუთრებულ სიზუსტეს, უტყუარ თვალს და დიდ დახელოვნებას. კონვეიერმა გაჩერება არ იცის, მაგრამ ზოგჯერ იგი ლილი კოქიაშვილთან ცარიელი მოდის. მაშინ ლილი უკმაყოფილო სანდომიან, შავ თვალებს გადაანათებს მარცხნივ და, თუ შეატყო, რომ შეფერხება კიდევ გასტანს, წამსვე წამოხტება და მიირბენს იქ. ელვის სისწრაფით აამოძრავებს პატარა ხელებს, თვალის დახამხამებაში გამოუშვებს ნაკადს. „აბა ახლა შენ განაგრძეო", ეტყვის ამხანაგს და დაუყოვნებლივ თავის ადგილზე მიირბენს, რომ ნაკადს მიისწროს.

მეორე აგრეგატზედაც ჰყავთ ისეთი შესანიშნავი ოსტატი, როგორიც ლილი კოქიაშვილია. იქ აგრეგატის ბოლოს ზის ტანია ბუდნიკოვა, ლილის მეტოქე საფაბრიკო პირველობაში. ისიც სახელოების მიკერებაზე მუშაობს.

ოთხი თვეა ეს ორი ახალგაზრდა მკერავი ერთმანეთს ეჯიბრება. მათი შეჯიბრება დაიწყო ივნისში, ე. ი. იმთავითვე, როგორც კი მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში კარგად გაშალეს პროფესიათა მიხედვით შეჯიბრება. ივნისში საფაბრიკო პირველობა ბუდნიკოვამ მოიპოვა.

გაჩაღდა ბრძოლა პირველობისათვის. ამ ბრძოლაში სხვა მკერავებიც — ამხ. ე. ფეიქრიშვილი, ვ. ნატროშვილი, შ. ავდალიანი და სხვ. ჩაებნენ.

შეჯიბრეს ივლისში მუშაობის შედეგები და აღმოჩნდა, რომ ტანია ბუდნიკოვას გეგმა 287 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, ელენე ფეიქრიშვილს 220 პროცენტით, ვ. ნატროშვილს 203 პროცენტით, ხოლო ლილი კოქიაშვილს... ყველანი ინტერესით მოელოდნენ მისი მუშაობის მაჩვენებელს. სამუშაოს დამთავრებისას საფაბრიკო წითელ დაფაზე მუშებმა შემდეგი წაიკითხეს: „ივლისში საფაბრიკო პირველობა მოიპოვა ლილი კოქიაშვილმა, რომელმაც თვიური საწარმოო გეგმა 508 პროცენტით შეასრულა".

ამის შემდეგ კოქიაშვილს საფაბრიკო პირველობა არ დაუთმია. აგვისტოში მან კიდევ უკეთესი მაჩვენებელი მოგვცა, გეგმა 520 პროცენტით შეასრულა.

დადგა სექტემბერი და თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში გაჩაღდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა 13 ოქტომბრისათვის შეასრულოს წლიური საწარმოო დავალება, წლის ბოლომდე ქვეყანას მისცეს 15.000 ცალი შეკერილი ერთეული პროდუქცია და მოიმომჭირნოს 1.600 მეტრი სხვადასხვა ქსოვილი. ამ ვალდებულების გასანაღდებლად მკერავებს შორის გაშლილ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში პირველნი არიან ლილა კოქიაშვილი და ტანია ბუდნიკოვა.

საუკეთესო ამხანაგები, სახელოვანი ქალიშვილები, ისინი ფაბრიკის მთელი კოლექტივის სიამაყენი არიან. ყოველდღე ხვდებიან ისინი საამქროს „საპატიო დაფასთან".

დღეს როგორია შენი საქმეო, ეკითხება ტანია დაზეპირებული ქართული ფრაზით ლილას და პასუხს იქვე დაფაზე კითხულობს:

„ლ. კოქიაშვილმა დღეს გეგმა 560 პროცენტით შეასრულა".

არა უშავს რა, ბევრად არც ტანია ჩამორჩენილა. კიდევ ცოტა ენერგია და ისიც მის გვერდით იქნება დაფაზე აღნიშნული.

საწარმოო პირველობისათვის ბრძოლამ დაიაბლოვა და დამეგობრა ჩვენი დიადი საშობლოს ორი ერთმანეთისაგან დაშორებული კუთხიდან თბილისში მოსული ორი ქალიშვილი. ორივე ერთმა სურვილმა, ერთმა სწრაფვამ მიიყვანა ფაბრიკაში — რითაც შეეძლოთ დახმარებოდნენ წითელ არმიას დამპყრობთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1942 წლის შემოდგომა იყო მაშინ. მას შემდეგ პატრიოტი გოგონები შესანიშნავად დაეუფლნენ არჩეულ პროფესიას და შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში ბევრი უფრო სტაჟიანი მუშაც ჩამოიტოვეს.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს 400-500 პროცენტით ფაბრიკაში ჯერჯერობით მარტო ეს ორი ქალიშვილი ასრულებს — ლილი კოქიაშვილი და ტანია ბუდნიკოვა.

დ. ლოგთაძე.

მერგოლური

ზუგდიდი, („კომუნისტის" საკ. კორ.). სოფელ ზედაფრის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში მეორე ბრიგადის პირველი რგოლის ხელმძღვანელ ქალს გ. ჭითანავას სამუშაოზე გამოცხადებას ვერავინ დაასწრებს. ადრევე იკრიბება მისი მთელი რგოლი, რომელიც კოშკავშირელი ქალიშვილებისაგან შედგება. რგოლის წევრებმა იციან დღიური დავალება, და გაჩაღებულია ენტუზიაზმით ალსავსე შრომა.

ჭითანავას რგოლს 5 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოვლა-პატრონობა ებარა. ხელმაღლიანი ქალიშვილებიც ძალღონეს არ იშურებენ, რათა ტოლი არ დაუდგონ ფრონტზე მეომარ თანასოფელელ ჭაბუკებს და მოსისხლე მტრის განადგურებაში დაეხმარონ ჩვენს სახელოვან მამულიშვილებს.

ბრიგადირმა ბ. თოდრიამ რგოლს დააკალა წლეულდელ სეზონში 10 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა. მაშინ წამოდგა პატრიოტი ქალიშვილი და ასე მიმართა ამხანაგებს:

— გეგმა, ხომ იცით, კანონია. მთავარი ის არის, რომ გეგმის გადამეტებით მივცეთ ჩაის ფოთოლი დედა-სამშობლოს. თქვენ რას იტყვით?

— ჩვენც მზადა ვართ წარმატებით შეგასრულოთ დავალება, განაცხადეს რგოლის წევრებმა.

ერთხმად მოითათბირეს კოლმეურნე გოგონებმა, რომ წლიურ დავალებას ორმაგად შეასრულებდნენ.

მერგოლურმა ჭითანავამ რგოლის მუშაობა ისე ააწყო, რომ წუთიც არ იკარგება უსარგებლოდ. აგროწესების ზუსტად გატარებამ და შრომის სწორმა ორგანიზაციამ შეჰქმნა წინაპირობები ბარაქიანი მოსავლის მიღებისათვის. შედეგიც კარგია—რგოლს დღემდე მოკრეფილი აქვს 25 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

როგორ მიაღწია რგოლმა ამას? ახალგაზრდა მერგოლური პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს თანატოლებს და ამით დიდად ხრდის შრომის ნაყოფიერებას. იგი, დღეში საშუალოდ 300-400 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჭკრეფს, ხანდახან კი—500-600 კილოგრამსაც. ამიტომ წელს უკვე 1.000-ზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული.

სამაგალითოდ არის მოგლილი მერგოლურის ჩაის პლანტაცია. გ. ჭითანავამ დროზე და მაღალხარისხოვნად ჩაატარა ბასვლა და გადაბარვა, სამჯერ შეიტანა სასუქი, შემდეგ ისევ გათოხნა. პლანტაციის კარგი მოვლის შედეგია, რომ გაიზარდა მოსავლიანობა და 0,8 ჰექტარზე 10 ათასი კილოგრამამდე ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი მიიღო. ამავე დროს მერგოლურმა იკისრა ახალი ვალდებულება — კიდევ მოჭრიფოს წელს 5 ათასი კილოგრამი ჩაი.

სტახანოვურად მუშაობენ რგოლის წევრები: მ. ჭითანავა, დ. ალფენიძე, დ. ჭითანავა და მ. ჯალაღონია. ისინი დღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებენ.

რგოლის წევრები ჩაებნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირობა დასდეს ოქტომბრის დიადი დღესასწაულს შეხვდნენ ახალი წარმატებებით, წელს მოჭრიფონ 36 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სტახანოველთა სიტყვა მტკიცე და ურყევი. იგი შესრულებულ იქნება.

ხ. ბერულავა

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

(საქართველოს მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

თავთავიანი კულტურების თესვა კოლმეურნეობებში

20 სექტემბრისათვის თავთავიანი მარცვლეული კულტურები ჭიათურის რაიონში დაითესა ვეგმის 5,8 პროცენტი, საჩხერის რაიონში — 38,4, ორჯონიკიძის — 48,3, ამბროლაურის — 3,5, ცაგერის — 41,4, ახალქალაქის — 12,7, ახალციხის — 0,6, ასპინძის — 6,6, ქარელის — 1,0, გორის — 11,3, კასპის — 0,7, დუშეთის — 4,8, თიანეთის — 14,3, გურჯაანის — 0,1, ლაგოდეხის — 0,3, თბილისის—7,0, საგარეჯოს — 5,9 პროცენტი.

თამბაქოს შეტეხა

20 სექტემბრისათვის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში თამბაქო შეტეხილი იყო გეგმის 101,5 პროცენტი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 87,6, სიღნაღის რაიონში — 47,8, ყვარლის — 63,8, ლაგოდეხის — 80,8, ბორჩალოს — 63,0, ბოლნისის რაიონში — 73,1 პროცენტი.

გეგმის შესრულება

სამტრედია, („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 20 სექტემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს. დამზადებულია 272.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მოკრეფილი ფოთლიდან 36 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა გრძელდება.

ჩაის ფოთლის კრეფა

ტრესტ „საქჩაის" 20 სექტემბრის ცნობებით

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	სექტემბრის გეგმის შესრულება დასაწყისიდან თვის ჩათვლით პროცენტებით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	სექტემბრის გეგმის შესრულება დასაწყისიდან თვის ჩათვლით პროცენტებით
ბათუმი	88,4	41,9	ქუთაისი	97,2	61,7
ქობულეთი	80,3	34,4	წყალტუბო	105,4	36,7
გალი	87,8	41,4	ტყიბული	99,4	60,8
ოჩამჩირე	89,9	40,8	ცხაკაია	93,4	44,4
გულრიფში	110,0	140,6	აბაშა	95,3	46,7
სოხუმი	156,0	76,0	გეგეჭკორი	86,8	35,4
გუდაუთა	100,2	37,8	ზუგდიდი	87,9	29,1
მახარაძე	85,9	32,7	წალენჯიხა	94,5	27,6
ჩოხატაური	89,4	42,3	ჩხოროწყუ	90,0	25,5
ლანჩხუთი	78,1	17,1	ხობი	96,7	69,8
სამტრედია	100,7	50,8	ჩხარი	107,7	51,7
წულუკიძე	97,4	72,3	ზესტაფონი	54,0	34,0

გუდაუთის, ბათუმის, ქობულეთის, მახარაძის და ლანჩხუთის რაიონების ცნობები არასრულია.

საერთაშორისო მიმოხილვა

ფაშისტები დროს გამოედევნენ, დრო კი საფლავში მიერეკება მათ. დღითი დღე ახლოვდება კატასტროფა, რომელიც გარდუვალად მოელის ჰიტლერულ გერმანიას. უკვე დანგრეულია ეგრეთ წოდებული „ახალი წესრიგი" ევროპაში, რომელსაც ფაშისტური გერმანია „ათასეული წლებისათვის" ჰქმნიდა. ხოლო ჰიტლერის ევროპული „კავშირისაგან" არსებითად ერთი ნამსხვრევი — უნგრეთიღა დარჩა, მაგრამ მისი დღეებიც დათვლილია. ეს ის უნგრეთია, რომელიც ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა თავის „ნათესაობას" ფინეთთან და ფიქრობდა, რომ მათ ბოლომდე მოუხდებოდათ გაეკლოთ ძარცვა-გლეჯის ერთად დაწყებული გზა, მაგრამ ფინეთი უკვე ჩამოშორდა ფაშისტურ ბლოკს. ეს ერთბაშად რიდი მომხდარა. საქირო გახდა მკაცრი გაკვეთილები, რათა დარწმუნებულიყო ჰიტლერის ეს შეუპოვარი სტალინი, რომ თამაში უთმენლოდ არის წაგებული და გერმანელთა მხარეზე ომში შემდგომი მონაწილეობა უაზრო და დამღუპველია ფინეთისათვის.

ფინეთის მმართველი წრეებისათვის ძნელი იყო გამოსთხოვებოდნენ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის ხარჯზე „დიდი ფინეთის" შექმნის დიდი ხნიდან ნალოლიავებ გეგმებს. ომმა მათ იმედის მკაცრი გაკრუეება მოუტანა. წითელმა არმიამ გაანადგურა მტრის თავდაცვა ფრონტის იმ უბანზეც, სადაც ჩვენს წინააღმდეგ ფინელთა ჯარები იბრძოდნენ. ამჯერადაც ფინეთის ანტისაბჭოთა ავანტიურა მის წინააღმდეგ შეტრიალდა,—მან დამარცხება განიცადა და ომიდან გამოვიდა.

ფინეთთან დროებითი ზავის შესახებ შეთანხმებაში გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების და ჩვენი ხალხისათვის წმიდათა-წმიდა ლენინის ქალაქის, აგრეთვე სსრ კავშირის ბალტიისა და ბარენცის ზღვების მხრიდან სხვა მასადგომების უშიშროების უზრუნველყოფა. ამას ვაღწევთ საბჭოთა კავშირ-ფინეთის 1940 წლის 12 მარტის საზავო ხელშეკრულების მოქმედების აღდგენით, საბჭოთა კავშირისათვის პეტსამოს ოლქის დაბრუნებით, რომელიც წინათ ჩვენმა ქვეყანამ ფინელებს ნებაყოფლობით დაუთმო. გარდა ამისა, ფინეთი იჯარის უფლებებით 50 წლის ვადით უთმობს სსრ კავშირს ტერიტორიასა და წყლის სივრცეებს პორკალა უდის რაიონში, ესე იგი, ფინეთის ყურის ყველაზე ვიწრო ნაწილში, სადაც ჩვენი სამხედრო-საზღვაო ბაზა შეიქმნება.

შეთანხმების მთელი რიგი პირობები დაქვემდებარებულია უმნიშვნელოვანესი ამოცანისადმი — გერმანიის უსწრაფესი განადგურების ამოცანისადმი. ფინეთი ვალდებულია გაანიარაღოს და სამხედრო ტყვეთა სახით მოკავშირეებს გადასცეს გერმანელთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც მის ტერიტორიაზე დარჩნენ 15 სექტემბრის შემდეგ, დაშალოს პროფიტლერული ორგანიზაციები და გაერთიანებულ ერებისადმი მტრული სხვა ორგანიზაციები, მოკავშირე სახელმწიფოებთან ითანამშრომლოს ომის დამშთავეთა შეპყრობისა და გასამართლების საქმეში. ფინეთი აგრეთვე ვალდებულია მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის მოთხოვნით მოგვცეს აეროდრომები ფინეთის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე.

შეთანხმებაში გათვალისწინებულია ანაზღაურება, თუმცა სრულიადაც არა მთელი ოდენობით, იმ უდიდესი ზარალისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ფინეთმა საომარი მოქმედებით და ზოგი საბჭოთა რაიონის ოკუპაციით მიაყენა. წაყენებულ მოთხოვნათა ზომიერება საბჭოთა კავშირის სულგრძელობის კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთია.

შეთანხმება არ ეხება ფინეთის დამოუკიდებლობას და საფუძველს ჰქმნის სსრ კავშირისა და ფინეთის, როგორც მეზობელი ქვეყნების ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად. ამ ურთიერთობის განვითარება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეასრულებენ ფინელები დროებითი ზავის პირობებს და რამდენად ლოიალურ დამოკიდებულებას გამოიჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი.

ომიდან ფინეთის გამოსვლა და მის მიერ დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების დადება ჰიტლერული გერმანიის დიდ სამხედრო-პოლიტიკურ დამარცხებას ნიშნავს. გერმანიას ჩამოშორდა მისი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მოკავშირე. ამის შედეგად მცირდება ომის სფერო. იმ დამარცხებებთან ერთად, რომლებიც გერმანელებმა სამხრეთში, ბალკანეთში, დასავლეთში განიცადეს, ჩრდილოეთში მათთვის მიყენებული დარტყმა კიდევ უფრო ავიწროებს რკალს გერმანიის გარშემო, კიდევ უფრო ღრმად ერეკება ფაშისტ მხეცს მის ბუნაგში.

* * *

ჰიტლერული გერმანიის იმ პოლიტიკურ დამარცხებათა ფონზე, რომლებიც კატასტროფულმა სამხედრო დამარცხებებმა წარმოშვეს, განსაკუთრებით მკაფიოდ გაისმის ცნობები წითელი არმიის ახალ გამარჯვებათა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების წარმატებათა შესახებ. ბალტიისპირეთში საბჭოთა ჯარების ძლევამოსილი შეტევა ამთავრებს ოკუპანტთაგან მთელი ჩვენი მიწა-წყლის განთავისუფლებას და ახლოებს ფაშისტთა საბოლოო განადგურებას.

ჩაიფუშა ჰიტლერული სტრატეგია და პოლიტიკა ბალკანეთში. გერმანიას ჩამოშორდა მისი ორი სატელიტი—ბულგარეთი და რუმინეთი, რომლებიც არა მარტო იფარავდნენ ფაშისტთა ბუნაგს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, არამედ ყოველგვარი სურსათითა და ნედლეულითაც ამარაგებდნენ მას. წითელი არმია ამთავრებს გერმანელ დამპყრობთაგან რუმინეთის განთავისუფლებას და უკვე უკაკუნებს უნგრეთის კარს—მხოლოდ ერთი გადასასვლელი აშორებს საბჭოთა და რუმინეთის ჯარებს ჰიტლერის ამ უკანასკნელი სატელიტის საზღვრებს.

თავის აღსასრულს უახლოვდება გერმანელთა ავანტიურა საბერძნეთში. ჰიტლერელები კუნძულებს სტოვებენ და თავიანთ ძალებს ბალკანეთის სამხრეთში აგროვებენ. მაგრამ ისინი ვერ მოახერხებენ იქიდან წასვლას. გერმანიაში უკანასკნელი გზები მოჭრილია.

ფაშისტებისათვის მრისხანე ბერსპექტივები დაისახა დასავლეთშიც. საფრანგეთი და ბელგია განთავისუფლებული არიან. „ზიგფრიდის ხაზი" უკვე შენგრეულია მთელ რიგ ადგილებში. მოკავშირეთა ავიაადესანტო არმია, რომელიც ჩრდილოეთ ჰოლანდიაში გადასხდა და რომელიც იქ მისულ სახმელეთო ჯარებს შეუერთდა, მრისხანე ძალად მოვლენია გერმანიის უმნიშვნელოვანეს ოლქებს. მდინარე რაინის ხაზს სულ უფრო ხშირად იხსენიებენ გერმანელი მიმომხილველები, როგორც ფაშისტური არმიის უკანასკნელ თავდაცვითს ზღუდეს.

გერმანიისათვის ამ სულ უფრო და უფრო გაუარესებულ ვითარებაში ჰქონდათ ფაშისტური პროპაგანდის მიერ შექმნილი მითები. დიდი ხანია გაცამტვერდა მითი გერმანიის არმიის „უძლეველობის" შესახებ. კვამლივით გაიფანტა ისეთი მითიც, როგორიც იყო „აღმოსავლეთის ზღუდეების შეუვალობა". წითელმა არმიამ დასავლეთისაკენ ძლევამოსილი შეტევით გააცამტვერა არა მარტო ეს ზღაპარი, არამედ გერმანელთა თვით თავდაცვითი „ზღუდეებიც". ახლა ჰიტლერელები სასწრაფოდ ანგრევენ თვით მათ მიერ წარმოშობილ მითს „ზიგფრიდის ხაზის" გაუვალობის შესახებ. ამით ისინი წინასწარ ამზადებენ გერმანიის მოსახლეობას იმისათვის, რომ ფრონტი ამ ზღუდეზე არ შეჩერდება, ფაშისტი სამხედრო მიმომხილველები სწერენ, უკანასკნელ წლებში „ზიგფრიდის ხაზი" არ მაგრდებოდა და მოძველდაო.

სამე, რა თქმა უნდა, ამაში როდია. მთავარი ის არის, რომ ამ გამავრებული ხაზისათვის ჰიტლერს ჯარისკაცები არა ჰყავს. ხოლო უჯარისკაცოდ არც ზარბაზნები ისვრიან და არც ტყვიამფრქვევები. მდინარე რაინიც უჯაროდ თავისთავად არ შეიძლება დაბრკოლება აღმოჩნდეს გერმანიის მოწინააღმდეგეთა ჯარებისათვის. გერმანელებმა თავიანთი ძირითადი ძალები და არსებული რეზერვები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, წითელი არმიის წინააღმდეგ გადმოიყვანეს. მოკავშირეთა არმიებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად დასავლეთში გერმანიის მცირე ძალები დარჩა. მაგრამ აღმოსავლეთშიც ჰიტლერულმა სარდლობამ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია, არამედ მხოლოდ დამარცხებებს ხედავს. წითელი არმია მტკიცედ მიიწევს წინ დასავლეთისაკენ.

უკანასკნელ დღეებში გებელსმა ახალი მითი შეჰქმნა: „ფაშისტური ქვეყნის შიგნით მძლავრი რეზერვების" შესახებ ტოტალური მობილიზაციის იმედით, მაგრამ ეს მობილიზაცია ვერ ამართვეს ჰიტლერელი მინისტრის ფართოდ გამოცხადებულ დაპირებებს. და იგი სასწრაფოდ იგონებს კიდევ ერთ ზღაპარს, „დროის ფაქტორი,—გაჰკივის იგი,—ეი რა არის მთავარი. ჩვენ გვესაჭიროება მოვიგოთ დრო".

გებელსის თამაში უბრალოდ როდია წამოწყებული. ჰიტლერელებს უკვე ახლა სურთ, ისე როგორც ძარცვაში მათს წინამოგდიელებს 1918 წელს, გამართლება მოუძებნონ გერმანიის დამარცხებას,—დრო არ გვეყო, თორემ რეზერვებიც მოიძებნებოდა, ახალი სტრატეგიაცო, და სხვა ასეთი. ამ მითის საშუალებით ჰიტლერელი მეთაურები ცდილობენ აგრეთვე აიძულონ გერმანელი ხალხი კიდევ უფრო შეუპოვარი წინააღმდეგობა გასწიოს, რათა გაახანგრძლივონ თავიანთი საზიზღარი არსებობა და ფაშიზმის კერები შეჰქმნან „ნეიტრალურ" ქვეყნებში, თავშესაფარი მოიმზადონ საზიზღარგარეთ. მთელ ამ მანევრებს გერმანელ ფაშისტთა ბანდა იმ მიზნით ეწევა, რომ თავი გადაირჩინოს და ცოცხალი დარჩეს გერმანიის დამარცხების შემდეგაც კი.

მოკავშირე სახელმწიფოები დროს არ მისცემენ ჰიტლერელებს. ფაშისტური გერმანია განადგურებულ იქნება და ყველა მისი დანაშაულებრივი მმართველი სასტიკად დაისჯება. ფაშიზმი მოსპობილ იქნება.

ი. ვიქტოროვი.

კარგად გამოვაზამთროთ საქონელი, გავაღიდოთ მისი პროდუქტიულობა

(ზოოტექნიკოსთა და ვეტერინართა რესპუბლიკურ თათბირზე)

მუშაობა დაამთავრა რაიმეწყვანთა მეცხოველეობის უფროსი სპეციალისტების, ზოოტექნიკოსებისა და ვეტექიმების რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც მოწვეული იყო საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ.

თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ი. კვესიტაძის მოხსენება პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების, საქონლის სულადობისა და პროდუქტიულობის შემდგომ ზრდასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

— მეცხოველეობის დარგში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ჩვენ გვაქვს სერიოზული მიღწევები. ამასთან ერთად არის მრავალი ნაკლიც. ზოგ რაიონში სუსტად ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საზამთრო სადგომებამდე საკვების მიზიდვას, სადგომების რემონტის და მშენებლობის დაჩქარებას.

ქარელის რაიონში 15 სექტემბრისათვის თიბვის გეგმა მხოლოდ 35 პროცენტით იყო შესრულებული, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 34,1 პროცენტით; ცხაკაიას, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, წულუკიძისა და ვანის რაიონებში კი თიბვა ჯერაც არ დაუწყიათ.

საკვების დასილოსება ჩამორჩა თიანეთის, ყვარლის, ახალციხის, გორის, ქარელის და ხაშურის რაიონებში. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში და ტყიბულის, აზიბეგის, ყარაიის რაიონებში სილოსის დამზადების გეგმის დროულად შესრულებისათვის გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ.

კამათში ამხ. კვესიტაძის მოხსენების გარშემო მონაწილეობა მიიღეს: პაპუაშვილმა (შტეფა), ფოფხაძემ (აფხაზეთი), დავიდოვმა და ხალვაშმა (აჭარა), პეტროსოვმა (თეთრი წყარო), იგატიანმა (ბოგდანოვკა), შარაშიძემ (წითელწყარო), სიჭინავამ (გურჯაანი), ლომთათიძემ (ჩოხატაური), მემარიაშვილმა (ბაიკოვსკი), ბრონიამ (გუდაუთა), აკოფოვმა (ახალქალაქი), გურგენიძემ და ჩოხელმა (თელავი), ჯიბუტმა (ბაშკიჩეთი), კაციტაძემ (ამბროლაური), მეტრეველმა (ლაგოდეხი) და სხვ., სულ 28 კაცმა.

თათბირმა ყურადღება გამახვილა რკოს, შაქრის ჭარხლის ფოჩის და სხვ. საკვები მასალების დამზადებისა და გამოყენების საკითხებზე. თათბირმა აღნიშნა, რომ საგარეჯოს, წულუკიძის, ლუშეთის, ბოგდანოვკის, თიანეთის და სხვა რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები სადგომების შეკეთებას დღემდე არ შესდგომიან. ზოგან ახალი სადგომების აგებას აჭიანურებენ. თათბირმა იმსჯელა საქონლის სულადობის ზრდის, მისი პროდუქტიულობის ამაღლების, მეცხოველეობის ფერმებში შრომის მოწესრიგების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღრიცხვის, საძოვრების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა და პირუტყვის მოვლის, კერძოდ, ვეტერინარულ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელების ორგანიზაციის საკითხებზე.

თათბირის მუშაობა თავის სიტყვაში შეაჯამა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ს. ხოშტარიამ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ მეცხოველეობის დარგში ამხ. კ. ჭიკინაძემ.

დღეკვეები

ინგ ლისური ქურნალი ფინეთთან დროებითი ზავის პირობების შესახებ

ლონდონი, 22 სექტემბერი (საკდესი). ყოველკვირეული „სპექტეიტორი" კომენტარს უკეთებს ფინეთთან დროებითი ზავის პირობებს და სწერს: „ფინეთთან დროებითი ზავის ხელმოწერის შედეგად ომიდან გამოდის გერმანიის კიდევ ერთი სატელიტი ფინელთათვის უფრო ხელსაყრელი პირობებით, ვიდრე მათ შეეძლოთ მოლოდინი ჰქონოდათ. ისინი დიდხანს ირიდებდნენ თავს საზავო წინადადებებზე პასუხის გაცემას, და გასაკვირალი არ იქნებოდა, რუსეთს რომ უარი ეთქვა თავის წინადადებებზე. მაგრამ როგორც რუმინეთის მიმართ, ისე ფინეთის შემთხვევაში, საკითხის მოგვარებისას შეიძლებისაგარეშე მისწრაფების ნაცვალად გამოიჩინა ეფექტურად უფრო ზომიერება, ვიდრე ამა წლის მარტში შეთავაზებული პირობები იყო. ფინეთი ინარჩუნებს სრულ დამოუკიდებლობას, ხოლო ის ტერიტორიები, რომლებიც მას დამატებით ჩამოშორდა, რუსეთს, როგორც სჩანს, ესაჭიროება მხოლოდ ერთადერთი მიზნით—უშიშროების უზრუნველსაყოფად".

ბელგიის მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 22 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ბრიუსელის რადიოს ცნობას, რომ ბელგიის პრემიერ-მინისტრი პიერლო გადადგა მთავრობის მთელ შემადგენლობასთან ერთად.

გენაჩენი რომის პოლიციის უფროს კარუზოს საქმის გამო

რომი, 21 სექტემბერი (საკდესი). 20-21 სექტემბერს იტალიის უმაღლეს სასამართლოში მოსმენილ იქნა რომის ფაშისტური პოლიციის ყოფილ უფროს პიეტრო კარუზოს და მის მდივან ოკიეტის საქმე. კარუზო მჭიდროდ თანამშრომლობდა გერმანელებთან, აწამებდა პოლიტიკურ პატიმრებს და გერმანელებს ხელში ჩაუგდო 50 პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც შემდეგ გერმანელებმა დახვრიტეს 300 სხვა მსხვერპლთან ერთად.

კარუზოს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, ოკიეტოს—30 წლის პატიმრობა.

რომი, 22 სექტემბერი (საკდესი). დღეს იტალიის უმაღლესი სასამართლოს განჩინის თანახმად დახვრიტეს რომის ფაშისტური პოლიციის ყოფილი უფროსი პიეტრო კარუზო.

არგენტინის სამშაბი სამზადისი

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი (საკდესი). როგორც ელიად ლეიბორ ნიუსის სააგენტოს კორესპონდენტი მონტევიდეოდან (ურუგვაი) გადმოგვცემს, პრესის წარმომადგენლებმა მიიღეს ცნობები არგენტინის მთავრობის საბრძოლო სამზადისის შესახებ. ამ ცნობებს ადასტურებენ ურუგვაის პროფკავშირული წრეების წარმომადგენლები.

„ამერიკელთა ლეგიონის" ყრილობა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი (საკდესი). ჩიკაგოში 21 სექტემბერს დამთავრდა პირველი მსოფლიო ომის ვეტერანთა ორგანიზაციის — „ამერიკელთა ლეგიონის" ყრილობა, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა. ყრილობამ აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ შეიქმნას საერთაშორისო ორგანიზაცია ძალის შემწეობით მშვიდობიანობის დაცვისა, და იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიასა და იაპონიას წარედგინოთ დროებითი ზავის ლმობიერი პირობები.

„არ შეიძლება დაშვებულ იქნას, — ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, — რომ პოსტგანდამ შეცდომაში შეიყვანოს ამერიკის შეერთებული შტატები და წამოაყენებინოს მათ ლმობიერი საზავო პირობები. საჭიროა აგრეთვე ვერიდოთ იზოლაციონიზმისადმი დაბრუნებას". ყრილობამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას საგარეო პოლიტიკას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანსა ჰელმს ყრილობის მონაწილეებს მიმართა წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ ამჟამად დემოკრატიულ ქვეყნებს მეორედ ეძლევათ შესაძლებლობა დამყარონ მშვიდობიანობა და უზრუნველჰყონ მისი დაცვა. „არავითარი გარანტია არ არის, რომ ჩვენ წლად გვხვდეს იგივე მესამეჯერიც, — განაცხადა ჰელმა. — ამიტომ ჩვენ ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ საზოგადოებრიობის გადაწყვეტილება სხვა ერებთან დროითი დღეღამოვანურად თანამშრომლობის შესახებ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანობის დამყარების საქმეში".

ყრილობაზე სიტ